

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დროს (1991 წელი), ზესტაფონის ეკონომიკა ძირითადად ეყრდნობოდა მრეწველობას და სოფლის მეურნეობას. აღნიშნულ დარგებში იყო დასაქმებული მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა. მას შემდეგ რაც მოიშალა არსებული ეკონომიკური კავშირები, მნიშვნელოვნად შემცირდა, ანაც სრულად შეწყდა პროდუქციის წარმოება ქარხანა-ფაბრიკებში, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობის დარგები ფუნქციონირებაც. შედეგად კრიტიკულად გაიზარდა მუნიციპალიტეტში უმუშევართა რაოდენობა იმის გამო, რომ იმდროინდელი ცენტრალური ხელისუფლების მიერ ვერ იქნა შემუშავებული სწორი ეკონომიკური მოდელი, მოქალაქეები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ საკუთარი საცხოვრისი და მინიმალური ცხოვრების პირობების შესაქმნელად იძულებულნი იყვნენ წასულიყვნენ ქვეყნიდან ფარგლებს გარეთ. მოგვიანებით მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა, თუმცა დასაქმების პრობლემი დღესაც უპირველეს ადგილზეა.

2018 წლის 1 იანვრისათვის ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მოქმედ კომპანიათა რაოდენობა შეადგენს 2084 ერთეულს. აქედან მცირე საწარმოა 1820 (87.33 %), საშუალო საწარმო 247 (11.85%) მსხვილი საწარმო კი 17 (0.82 %).

ცხრილი #1 საწარმოების კლასიფიკაცია მათი ზომების მიხედვით

კომპანიების რაოდენობა	სულ:	მცირე საწარმო	საშუალო საწარმო	მსხვილი საწარმო
<i>მოქმედი კომპანიები</i>	<i>2084</i>	<i>1820</i>	<i>247</i>	<i>17</i>
მრეწველობა	46	0	38	8
სოფლის მეურნეობა	145	0	145	0
საცალო და საბითუმო ვაჭრობა	1550	1517	25	8
მშენებლობა და დეველოპერული ბიზნესი	39	33	5	1
ტრანსპორტი	154	150	4	0
სხვა	150	120	30	0

2018 წლის 1 იანვრისათვის ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მოქალაქეების დასაქმების სტრუქტურა დარგების მიხედვით შემდეგი სახე აქვს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ამჟამად ყველაზე წარმატებული სექტორი მისი მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე არის მრეწველობის სექტორი, კერძოდ მეტალურგიული მრეწველობის რომელიც ძირითადად ფეროშენადნობებს აწარმოებს. 2017 წლის მდგომარეობით სულ აღნიშნულ სექტორში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა შეადგენდა 550 მლნ ლარს. ამჟამად მუნიციპალიტეტში ყველაზე მზარდი კომპანიები ამ კუთხით არის შპს „ჯორჯიან-მანგანუმი“, შპს „ჯი-თი-ემ გრუპი“, შპს „მეტალოლომი“, რომელთა ძირითადი პროდუქცია ფეროსილიკომანგანუმი.